

1913/2

/3



# ბეჭედის აზრი



1913

ივნისი, № 6. მოწოდებითათვის

# რ ი ჩ ა ძ მ ი ი ს ა გ ა ნ


გისაც მოეღი წლის ფული სრუ-  
ლად არა აქვს შემოტანილი ჩა-  
ნთ ივლისამდე არ შემოტანს, ქურ-  
ნალ „ნაგადულის“ გზავნა მოე-  
სპობა.

# ବ୍ୟାକମାର୍ଗପତ୍ର

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ  
ପ୍ରକାଶନ ଓ ଲେଖଣିକାରୀଙ୍କର ପରିଷଦ  
ବିଦ୍ୟାଲୟର ପରିଷଦ

1943

ଅପ୍ରେଲ ୧୦ ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୧୦୦୬୦. \* ୦୩୬୦୬୦, ୧୯୧୩ ଫେବୃଆରୀ





ଭୋବନ୍ଦୀରେ ଜର୍ବେତ୍ତା—ଶ୍ରୀ.

# ს ა რ ჩ ე ბ ი.



I—ფინიქის კრეტა,—სურათი	1
II—მომავალის,—ლექსი ნ. ჩხილვაძისა	3
III—ფარნაოზ მეტე,—ისტორიული მთახსრობა, (შემდეგი) ავ. როსტომაშვილისა.	6
IV — უძველეს ლროის ბავშვის თავევალისავალი, — მთახ- რობა ე. დ'ერვალისა, (გაგრძელება) თარგ. მარაშ ა- შვილისა	15
V—წყარო და პატარა,—ლექსი სიმ. შენისიმირელისა.	26
VI—სტეფანეს შვილი,—(თარგმ.) მ. კლიმაშვილისა.	28
VII—კინკრაქა—(ლობე-მდკრალი), — (ლებაზნი) ნოშრევან შერქველაძისა	36
VIII—ექიმთა და ბუნების შეტყველთა კრება,—ილა ნა- კაშიძისა	41
IX—შედარებითი ანატომიკილური ილებული ფაქტები,— (შემდეგი) გ. ანთელიძისა.	46
X — ტროალის ომი,—(გაგრძელება) ალ. შიქაშერიძისა	55
XI—გასართობი: რებუსი, შარალების და რებუსის აღსნა	63





## • მოგავალს.

(კუძლვნი ჩემს პატარა მეგობარს დიომიდე ანთაძეს)



იმციმებდა გაზაფხული,  
ყვავილებით მოქარგული,  
ბუნებაში მუსიკობდა  
სიცოცხლე და სიყვარული.

\* \*

კისკისებდა მოის ჩანჩქერი,  
უცხო ხმაზე ანამლერი  
და ბულბული ვარდზე სტვენდა,  
გრძნობით გულის ამაძერი.

\* \*

ტყე, მინდორი, სივრცე კისა,  
მოციმუმე სახე შისა



და ლურჯ სარკედ გარინდული  
ტურფა სიერცე შევი ზღვისა—

\*  
\* \*

ზეირთთ ჩურჩულით, ზღაპარს თხზავდა,  
სიცოცხლისა ჰანგებს წნავდა,  
აწმყოს სახე მომავლისა  
წმინდა მიზანს ისახავდა...

\* \* 8686868

სოფელი-ეი ბედით მწირი,  
მწუხარე და განაწირი,  
შრომის ოცლში ილეოდა,—  
კისრად აწვი ტანჯეა-ჭირი.

\* \* \*

მუნ ისმოდა მწარე კვნესა,—  
დაეძებდნენ სინათლესა,  
რომ სრულ-ყოფა მოჰვენოდა  
ბედით გმობილ სიცოცხლესა.

\* \* \*

დრო მიქქროდა... ძალთა-ძალი,  
ტანჯეით კრული მომავილი,  
კვალად იშვა, და სინათლეს  
მან მიაპყრო გრძნობით თვალი.

\* \* \*

იხრდებოდა ზალხის შეება,—  
სიყვარულის წმინდა მცნება,  
და საერთო სიყვარულსა  
უმღეროდა თეით ოცნება.

ଦା କା, ଯାହାର ଏହି ମାଲୀ,  
ମୁଖେଜଣିବା ଚାର୍ଦ୍ଦୟପ୍ରାଣି,  
ଫିନ ଲୋକରାଜ୍ୟରେ, ଫିନ ପ୍ରମଧେ,  
ଯାହା ମର୍ଯ୍ୟାଦା କାହାରାଜ୍ୟରେ.

ପ୍ରମାଣିତ  
ପାଇଲାମାନୀ

\*  
\*\*

କାହା ଏହାରଙ୍ଗେ ନାହିଁ, କ୍ରୂଢ଼ିଲା,  
ବୋଲନ୍ତିର ଗର୍ଭନବ୍ଦୀ, ବୋଲନ୍ତିର ଶ୍ଵେତ,  
କାହା ମହିରୁଲାର ମହିରୁର୍ବ୍ୟବ୍ଧା  
ଶ୍ଵେତାରୁଲାର ଶ୍ଵେତ ରାଜିରଙ୍ଗିଲା.

\*  
\*\*

ଏହା, ଗ୍ରେଟରଟ୍ରେନ୍ ଗାନ୍ଧାର୍ଯ୍ୟଲା,  
ପ୍ରାଚୀନ୍ତ୍ୟରେ ମହାରଙ୍ଗଲା:  
ଶ୍ଵେତ ଯାହା ଉନ୍ଦା ମହିରୁର୍ବ୍ୟବ୍ଧ  
ଶ୍ଵେତାରୁଲାର ଏହା ଶ୍ଵେତାରୁଲା!

### ୬. କ୍ଷେତ୍ରଗାନ୍ଧେ





## ვარნაოზ მეფე.

(ისტორიული მოთხრობა).

(გაგრძელება).



VI

დინარე ბერდუჯთან ქართლოსიანებს მოეგება მიტრიდატი თავისი მოწინავე ჯარით და აცნობა ძმის, რომ მტერი შორს აღარ არს: გასულ სწორზე კიდევ მივიღე ცნობა, რომ მტერმა ბარავი დაიჭირა და ჩვენ კენ მოდისო. სამირამ დაუყოვნებლივ გაჰყო ჯარი სამად: მესნი დამუენი მარცნივ, იმტრნი—მარჯვნივ და ქან-ქართლელნი შეუაში. მესნებს დავვალა შევარდნისებრ მარცენიდან მტერზე გაუთენებლივ თავს დასხმა და ასევე იმტრი მარჯვნიდან, ხოლო ქართლ-ქანელებს—შეაგულზე მისვლა.

მაგრამ არც მტერს ეძინო. მაკედონელებს ვევონილო ჰქონდათ, რომ ქართლოსიანები ფიცხი, ან ქარებული ხალხი, რომ ესნი არ დაიყოვნებენ და მკალისავით წამოესვეიან ყოველ შერიდან, რათა შეუაში მოიმწულიონ და თავიანთი საშინელი კოლოტებით ამოელიტონ მტერი. ამიტომ, მოი-



ხლოედნენ ბერდუჯის წყალს თუ არა, სარდლებმა დაუყოვნებლივ უბრძანენ ჯარს სანგრების \*) დამართე; სანგრებს უკან ჩასახერეს მშეილდ-ისრებით შეიარაღებული ჯარი და უბრძანეს იქიდან შორს-მტყორუნავი მშეილდ-ისრებით ქართლოს-სიანთ რაზმთ-უფროსების ნიშანში ამოღება და დახოცვა; ხოლო მშეილდოსნების უკან დააყენეს გრძელ-ტარიანი შუბებით შეიარაღებული ჯარი.

განთიადზე მესხ-იმერლებმა, მართლაც, მოისურვეს მარცხნა-მარჯვნიდან და ქართლ-კახელებმა შეა გულიდან მტერზე შავარდნისებრ თავ-დასხმა, მაგრამ, გონიერულად და რიგზე გაწყობილმა მაკედონელებმა ესენი ას ნაბიჯზედაც არ მიუშვეს თავისთან და სანგრებს ამოფარებულებმა სეტყვასხვით დაყირეს ქართლოსიანებს მკეთრი ისრები. მართლია, ქართლოსიანები თოკ-დაგრეხილი სამკერდულებით და ტყავის შუზარალებით \*\*) იყვნენ გამოწყობილნი, მაგრამ მაინც ბევრი ქართლოსიანი გამოეთხოვა იმ წუთას ნაჟელ მხეს, ბევრმა რაზმთ-უფროსმა გამოიჩინა იმ დღეს წრეს-გადასული გმირობა-სიმტკიცე და სანგრებს მიაღწია, მაგრამ ამოღდ: მათ ერთხელაც ვერ მოასწრეს თავიანთი კოლოტების მოქნევა, ისე წინასწარ მოსაზრებით იქმნენ ესენი ამოხოცილნი მაკედონელებისაგან. ასევე უმაღლერად მოკლულ იქმნა ჩვენი ცნობილი ბედა, რომელიც დაჯერებული იყო, რომ თვისი კოლოტების ერთის დაკრით მიწასთან გაასწორებდა თვით ალექსანდრე გმირს და მის ზღაპრულ ხარ-თავისა.

სამარა-მამისსახლისში და მისმა ძმამ მიტრიდატმა რა ნახეს, რომ საქმე ცუდად არის, ჯარს წინ მოექცნენ და მიღლია

\*) სანგარი მიწით ანუ ქვით ამოშენებული მცირე საფარია; მტრის თავს დასხმისაგან თავის დასაცველად.

\*\*) შუზარალი რყინის, ანუ ზის თუ ტყავის საომარი თავ-სახურავია.



ჰაერში აწვდილ კოლოტებით მტერს შეუტიყს, სანგრების მიაღწიეს, მიანგრ-მოანგრიეს ესენი და სიკედილის რისხეთ დასცეს სანგრებს უკან ჩიხაფრებულ მაქედონელებს. მაგრამ მაკედონელები გაწვრთნილი მეომრები იყვნენ; თუმცა ბევრს მათგანს დაუბნელდა იმ წუთას მზე, ქართლოსიანთ გმირი-ძმების თავის გაწირვამ მათ მაინც ბევრი ვერა დააკლო-რა, რაფგანაც ამ შეტევამ მხოლოდ რამდენსამე წუთს გასტანა და სამარა-ზამასახლისიც და მისი ძმა მიღრიდატიც ისე იუ-ნენ დაპულნი, როგორც ქართლოსიანთ სხვა ჩაშმო-უკ-როსები...

რა ნაბეჭ ქართლოსიანებმა თავიანთ თავ-ჯაერების ახე უძმდურად ამოხოცვა, გული გუტყდათ, მტერს ზურგი უჩვე-ნეს და გამოიქცნენ, რომ ტყებში და მიუდგომელ კლდე-ლრებში მაინც გადირჩინონ თავი...

## VII

გამარჯვებული მაქედონელები დაუბრკოლებლიდ წამო-ვიდნენ წინ და მოადგნენ მტკერის-ციხეს, \*) სადაც სამარა-ზამასახლისში წინადევ ჩააყენა ცალკე რაზმი ზემოდ-ცნობილი გოთეს წინამძლოლობით და უბრძანა მათ სისხლის უკანა-სკნელ წვეთამდის ამ ციხის დაცვა, რაფგანაც მტერმა თუ ეს ციხე თილო, მაშინ გზა გაეხსნებათ და მცხეთასაც აღვილად დაიპყრობენ. დიღმის იწვალეს აქ მაქედონელებმა, ბევრი ხერხი იხმარეს მის ასალებად, ხან იერიშიც \*\*) მოუიღნენ ცი-

\*) მტკერის-ციხე მღინარე მტკერისა და ხრამის შესახითავს ზო-რის, იგი ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ მაკედონელთა უძლეველ ჯარსაც კერ აუღია იყო. შემდეგში მტკერის-ციხეს ეწირდა სუნანი, ხოლო თამრე-ბი უზმობენ ყიზ-ყალას, რაიცა ნიშნავს ქალის-ციხეს.

\*\*) იერიში ციხეზე მისელა ჯარისა მის ასალებად.

ხეზე, ხან სრულ თავისუფებას და დიდ ჯილდოებს დატვირთვის  
დრენ დამცველებს, თუ უოშრად დაუთმობლენ ციხესა, მაგრამ  
ამითოდ. ციხე უძლეველი გამოდგა და მაკედონელებს სხვა  
ვზა არა ჰქონდათ. ან უნდა აქ დაეზამთრათ და ციხე შიპ-  
შილით აელოთ, ან თავი უნდა დაეწეობებინათ ციხისათვის და  
პირდაპირ მცხოვაზე წასულიყვნენ.

მაკედონელებმა მეორე არჩიეს: ამით თავი დაანებეს  
ვტკერის-ციხეს და პირდაპირ მცხოვაზე წამოვიდნენ. თბილო-  
სი მაშინ უბრალო სოფელიც არ იყო. მთელი ის აღვილი,  
რაც ახლა ქალაქ თბილისს უკავია, მაშინ დაბურული ტყით  
იყო დაფარული და მარტო ის იცოდნენ ახლო-მახლო სოფ-  
ლელებმა და მცხოვრელებმა ამ აღვილის შესახებ, რომ ამ  
კლდეების ძირში ამოჩუხჩიუხებს ცხელი წყალი, სადაც იშვია-  
თიდ მოდიოდა თითო-ორიოდა კაცი.

მაკედონელებმა გამოიარეს თბილისის ახლანდელი ხეობა,  
დაისვენეს დიღმის ბალახოვან მინდორშე, სადაც ამას წინად  
ასეთი იმედებით თავი მოიყარეს ქართლოსიანთ რაზებმა, და  
უემდევ მოდგნენ მცხოვას.

უთავოდ, უჯიროდ და უხალხოდ დარჩენილი მცხოვი  
ვაკედონელებმა სულ უოშრად დაიჭირეს ეინშე აზონის წი-  
ნიმდლოლობით, მთაწესრიგეს გამვეობა მაკედონელთ რიგშე-  
და შეუდგნენ სრულიად ქართლოსიანთ მთა-ბარის დაპყრი-  
ბას...

## VIII

როგორც ვსთქვით, მცხეთა მაკედონელებს სრულიად  
უარიელი დახვდათ. ხალხი ისე გამიზნულიყო აქედან, რომ  
ერთი მთხრობელიც აღიარ დარჩენილიყო. გაბაზნულიყვნენ,  
რა თქმა უნდა, სამარა-მამასახლისის და მისი ძმის, მიტრიდა-  
ტის, ოჯახობანიც. როგორც უკვე ვსთქვით, სამარა-მამასა-



ხლისი უშვილო იყო, მიტრიდატე-ჟი დარჩა ცოლი, ამით უმოგებელი და ერთი ძუძუ-მწოვარი ვარი ფარნაოზი.

ფარნაოზის დედა სპარსეთის მეფის, დარიაზის, ლეიილი და იყო. ჯერ იყო და ქალი გული მოუკელა დიდებული ძმის მოკელამ და დამარცხებამ მაკელონელებისაგან, და ამა ეს გულის ტკიფილი გაუორკება ქმრის სიკედილმა და უცხო მოძალადისაგან ქართლოსიანების მთა-პარის დაბყრობამ. ოქმა არ უნდა, რომ ქალის მწუხარებას საზღვარი არ ექნებოდა, მაგრამ მან მაინც გული არ გაიტეხა: გაიგო თუ არა ქმრისა და მაზღვის მოკელა და ქართლოსიანების დამარცხება, უბრძანა მეურმეებს ურმების შებმა და არავეის გზით საჩქაროდ მოისუენ გამგზავრება. მოხუცი მეურმე, რომელიც დანარჩენ შეურმეებს წინ მიუძლოდა, თაყვანს სცემდა გმირი მიტრიდატის დაობლებულ ოჯახს და მეტადრე ეტრიფიალებოდა ქორფა ფარნაოზს, ერთად-ერთს გადარჩნილ შთამომავილს მცხეთის გმირ-მამასახლისებისას. ამიტომ, დიდის სიცრობოლოთ და თან აჩქარებით შეერეცებოდა იყი საქონელს, რომ მტრის მდევარს არ მოესწრო ამათთვის. მაგრამ რის მტერი, რის მდევარი!? მტკერის-ციხის მცველმა, გოთუმ, კარგად იცოდა, კისთვის უფრო საჭირო იყო მტრის შეევება რმდენიმე წლით მაინც და ამიტომ არავერს ზოგავდა, რომ მტერი რაც შეიძლება დიდხანს გაეჩერებინა ციხესიმან და იყი გააჩერა კიდეც: მტერმა ციხე ვერ იოლო თუმცა ბევრს ეცადა მის ალებას და ამასობაში-ჟი გახიზნულებმა მშვიდობიანად მიიღ-წიდა მთას.

## IX

შეერი იარეს თუ კოტა იარეს, ხიზნები მშეიდობიანად მოერდნენ ისეთს და დაბინავდნენ აქ ერთ სრულიად მოყრიცე-ბულ და ძნელიად მისაგნებ სოფელში. მიტრიდატის ოჯახს



თან ახლოდნენ მცხეთის რამდენიმე თავ-კაცის ოჯახისგან მცხოვრილი ამათ, რაც მძიმე და ძნელი წამოსალები ნივთი და ფეხი პეტრი და სულ მიწაში ღამიარხეს მცხეთის ახლოსვე, ხოლო თან მარტო ფული და რამდენიმე უსაკიროები ნივთი წამოლეს, რომ უცხო ქვეყანაში ცხოვრება არ გასძნელებოდათ. თავის ენაობას გამოხიზულები ყოვლის ღონის-ძიებით მალავდნენ, მეტადრე ფარნაოზისას, მაგრამ ოსები აშერად პხედავდნენ, რომ ფარნაოზის რჯახი ამათში უწარჩინებულესი იყო, რომ თვით პატიათ ფარნაოზი დიდი ვაკრის შეიღი უნდა იყოსო, რადგანაც თოთონ მოსულები უფრო ამ ბალის აქცევდნენ უაღრეს ყურადღებას.

დრო აჩქარებით მიღიოდა. მაჯერონ ელები უდიერად და სასტიკად ეპურობოდნენ ქართლოსიანებს და ამიტომ ღიღი უქმიყოფილება გაისმოდა ყველგან. ამით მოხერხდებულად ხარებდლობდნენ ფარნაოზთან ერთად გამოხიზული მცხეთის თავ-კაცები. დრო-გამოშეებით ესენი ჩამოლიოდნენ ბარში, ანუგეშებდნენ ხალხს ახლო მომავალში გმირი ჭიროდატის შვილის, ფარნაოზის, დავაკეაცებით და მის შემწევით სულ იღვილად მოძალად მტრისაგან განთავისუფლებით. პართლაც: აჩქარებით იზრდებოდა თვით ფარნაოზიც: ხუთმეტი წლისა იგი უკვე სრულ ვაჟაცას წააგავდა და შვილდა-ისარს ისე ხმარობდა, როგორც უწარჩინებულები შეისრე. ამასთან ღიღი ღონის პატრონი იყო და მეტის-მეტი ფეხ-მარდი და მკეორუბლებინი. სულ მცირე ხანში საუკეთესოდ შეისწიველა ქართლოსიანთ შწიგნობრიბა, რომელიც მან შემდეგში დიდად განავრცელ მოელ ქართლოსიანთ ქვეყანაში; შეისწიველა ფრედეკ წარსულ დროთავან დარჩენილი გარდმოცემანი ქართლოსიანთ ყოფა-ცხოვრებაზე და სხვათა შორის შეკედონ ელების ის ამბავი, თუ რით და როგორ შექმნეს მათმა შეფეებმა, ფილიპე და ალექსანდრემ, მაკელონის ერთი ბეჭო ხალხისიან უძლიერესი სამეფო. ყველაფერს ამის ბეჯითად ასმენ დნენ და



ასწავლისდნენ ფარნაოზს მისი მამა-მშემენი, \*) მცხეთის მეცნიერებების გამოცემის მთავი ფარნაოზსა, და მკერქელ-გონიერი ფარნაოზი ლრმალ ინერგავდა გულში ყოველისფერ მათ ნამშობს. ეს ცოტაა: ნაღორობის დროს, ეს თვა-კაცები, საღმე მოყრუებულ ხევში ანუ ტყეში, ანთ-ბულ კუტონის გაზრდომ მოსევნების დროს, მტრისაგან ქარ-თლობისანთ იმ დროის ტანჯეა-დევნისაც უამბობდნენ ფარნა-ოზს, ამ უმაღლავდნენ იმასაც, თუ როგორ და რა მიზეზით აჯობეს მაკედონელებმა ქართლობისანებს და თან იმასაც აყონებდნენ, რომ მოელი ქართლობისანობა მარტო მის, ფარ-ნაოზის, გაზრდას და დავაუკაცებას ელის, რომ ჭულზე კა-ც გამოეიღნენ და მტერი გააძვეონ. როგორც გონებით იყო ფარნაოზი მკერქელ-აზრიანი და დიდად მეცადინე სწავ-ლა-განვითარებაში, სწორედ ასევე შესანიშნავი მკერქელი იყო იგი სხეულითაც. გაქცეულ ირემს ფეხით დაეწეოდა და ძლიერის მკლავით წამს დაიმორჩილებდა. მთის დაქანებულ წყლებზე და უფსერულამდე ჩისულს ხევებზე ფარნაოზი ისე გადაზრდოდა, როგორც ფეხ-მარტი ჯიხვი და არჩვი. დამ-ფრთხოალ და გაქცეულ ნაღორს ხშირად ფეხ-და-უქ გამოუდ-გებოდა, გაქცეული ისარს ესროდა და ისე მოკულავდა. ყველა გაოცებული იყო ფარნაოზის სიმკერქელით.

ფარნაოზი თურმე ჯერ ათი წლისაც ამ იყო, რომ და-ინაზავდა დედას მოტირალს თუ არა, ეტყოდა:

— რად სტირი, დედოლო? მამა და მა რომ მოკელს მტრებმა, იმიტომ სტირიო! — დედა გაჩურმდებოდა და ფარნა-ზი-კ განაგრძობდა:

— ნუ სტირი, დედოლო, დამაცადე გაეიზარდო, მე ვი-ზევით თქვენც და ქართლობისანებსაცაო!..

— ამრი პატარაობიდანვე ჩაეწვი გულში და

\*) მამა-მშემენი აღმშრუელები, ლალები.

თურმე კიდევაც ამიტომ ცდილობდა, რომ გონიერი შეცე და მომართავა  
ცი გამხდარიყო.

როცა ფარნიოზი ოცი წლისა შეიქმნა, მან იგრძნო სუ-  
რვილი პირის-პირ გრძის ჩახერხა და ამიტომ უთხრა ერთხელ  
დედას:

— დედო! ჩვენები თითქმის ყველანი დაბრუნდნენ სამ-  
შობლოში; ჩვენც წავიდეთ, როდემდის უნდა ვიყოთ აქამ!?

— წავიდეთ, შვილო; სადაც ყველანი არიან, ჩვენც იქ  
ვიყოთ; ღვთით ახლა აღარავერი გიკირს, სრული ვაკეაცი  
შევხარ, გენაცვალოს დედო..

## X

ქართლოსიანები თითქმის შეურიგდნენ კიდეც მოსისხლე  
აზონის მძლავრობას, მაგრავ აზონის გაუმაძლარი გული და-  
დაუნდობელი თავის-ნება ხისითი დღე-შუღამ ახალ სისხლის-  
თხოვლობდა და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ხალხი  
დღეს-ხვალითი საშინალი ბორგავდა იღუმალად და გულის-  
სილრმემდის სიძულვილით იგსებოდა ქართული მთას იქიდან მო-  
სულ მოძალადისადმი. მეტადრე აუტანელი განდა ასეთი ყო-  
ფა ქართლოსიანებისა მაშინ, როცა აზონშა სულ უბრალი  
მიზეზების მოდებით გაახმირა ქართლოსიანთ საუკეთესო შე-  
ლების იღუმალად და აშერად ხოცა და ელეტა. მაგრამ გა-  
მონადა, რომ ხალხი ჰვავს იმ ზღაპრულ ას-თავისინ გველსა; რო-  
მელსაც, ერთს თავს რომ მოაჭრიდნენ, სამაგიეროდ არი ამ-  
სდიოდა, და ამიტომ ყოვლად შეუძლებელია ხალხის მოსალ  
მოსპობაც. დაინახეს თუ არა, რომ მათ მშეიღობიანად არ შე-  
უძლიანთ იცხოვერონ საშმობლოში, რომ მტერი მოსვენებას  
არ აძლევს, ქართლოსიანებმა მიმართეს მთას: ყველა მთა-  
ში მოეშურებოდა თავის საშეცელად და უმთავრესად ეს საში-  
ნელი დევნა იყო მიზეზი, რომ ფშავ-ხევსურეთი და ევრის-  
იმერეთი მთლად ასეთი დევნილი ხალხით გოგის. საქმაო იყო




გამოჩენილიყო ვინშე, မცირးდაပ არის, ღონიერი სამართლის უკავი  
რომ ამოდენა ხალხს დაუყოვნებლივ ხელი წაევლო გვირაბ-  
სათვის და მძღვვრ მტრერ პირის-პირ დასდგომოდა!..

ოქმა არ უნდა, რომ ასეთი სარდლობის აზრი და სურ-  
ვილი უფრო მცხეთის ყოფილ მამასახლისების შთამომავალში  
უნდა გაღვიძებულიყო და ეს სწორედ ასეც მოხდა. როგორც  
ზეეთაც ვნახეთ, ფარნაოზი თითქმის დაბადების უმაღლ იქნა  
ცნობილი ქვეყნის ასეთ სანატრელ პატრონად გოთუსა და  
ბედასგან, რომლებიც, ხედავდნენ-რა, რომ სამარა-მამასახლი-  
სი უშვილოა, ახლად-შობილ ყრმა-ფარნაოზს ჯერ მაშინვე  
სთვლილნენ ქართლოსიანების საგანგებოდ ციდან მოვლენილ  
მფარველ-პატრონად... და განა მარტო გოთუ და ბედა უप-  
ქეროდნენ ასე ყრმა-ფარნაოზს!?. ასეთიც სასოებით შესუ-  
ქეროდა იმ ყრმას თვით ქართლოსიანების მთელი გვარი,  
მეტადრე მას შემდეგ, როცა სამარა-მამასახლისმა და ყრმა-  
ფარნაოზის მამამ, მიტრიდატმა, ისე გმირულად გასწირეს თა-  
ვი ქართლოსიანების მთელი ჯარის წინაშე. სამარა და მიტ-  
რიდატი, მართალია, დაიხოცნენ, მაგრამ მათი სიკვდილით  
როდი მისისპონ ქართლოსიანებში ყრმა-ფარნაოზისადმი აღ-  
ძრული სასოება-იმედი!?. პირ-იქით უბილავ სულსავით უფრო  
ძლიერად მოედეა იგი სრულიად ქართლოსიანთ გვარს, შე-  
ვიდა ქართლოსიანის სულ უკანასკნელ ქაბში, დაიბუდა შეი,  
გაიზარდა - განვითარდა და იქვე დასრულდა და მომწიფე-  
და ფარნაოზთან ერთად. მართალია, ფარნაოზის დედა და  
მცხეთის თავ-კაცები თავის თვალის ჩინსავით პმალავდნენ  
ფარნაოზს სადღაუ ყოვლად მიყრულებულ ოსეთის-მაუდომედელ  
სოფელში, მაგრამ სად და როგორ დაემალებოდა იგი ხალხის  
ზღვა-თვალს, როცა ეს ასე გაფაციცებით ეძებდა მას და მარ-  
ტო მისით სცხოვერებდა და მისით სასოებდა!?

ი. როსტომაშვილი.

(დასასრული იქნება).





# უკველას დროის გავავის თავ- გადასაცალი.

(გაგრძელება).

V

ცეცხლი ჩა ქრის.

მონადირებთან შეხვედრა.—ცის ქვეშ ნადიში.—დედაკაცების პერ-  
ძა.—უხურებელი კერძი.—რას აკეთებდა უხველეს დროის ხადხი და-  
სუენების დროს.—რაზე ფიქრობს თავი, როდესაც პუში შაძღარა?<—  
მდგომებრა დამრუნება.—ცეცხლი ჩაქრა.—თჭახს ედდა ეცა.—მაკ-  
ანელი დაშე.



მ დროს, როდესაც კრეიი ბუდეების დამშლე-  
ლი თავის პატარი ძირი გაერივნენ უკვე აწერილ  
დამლუპელ და გამინადგურებელ ომში აუ-  
რებელ ცხოველებთან, სამხრეთ ტყეში სულ  
სხვა ხასიათის სურათი იშლებოდა. შენ ალბალ  
ვახსოვს, ფორე, რომ უხუცესმა დედაკაცები და ბავშვები  
ტყეში წიყვანა; ისინი ფუმფლის საძებნელად წაეიდნენ; ფუმ-  
ფლი ჩამალულია ხეების ფულუროებში. (ჩვენ დროშიც ა-  
ლანდელი ავსტრიალის კელურები სარგებლობენ ფუმფლით).



უხუცესში შეატად უბრძანა წეს-რიგი და ცემოლებული პერიოდ მდგარიყვნენ.

შემდევ მარტო უხუცესი წარიდა მათ მისაგებებლად ვიძგის ჯოხის ქნევით, რომელიც ირმის რქისაგან იყო გაეკეთებული; ძვლის ტარი რაღაც ბავშვის ნახატებით ჰქონდა შემჯული.

მონადირეები მიესალმნენ უხუცესს ვაჭიანურებული, ვილური, ტლანჭი, მაგრამ მოსიყვარულე ყეირილით.

მერე ორივე მხარემ გამოელაპარაკა ერთმანეთს.

მონადირეებმა მოიტანეს მხოლოდ ჩრდილოეთის ირმის რამდენიმე ნაწილი და ნიხევარი ცხენი. ნადირი ძეირი საშოვარი იყო: მეზობელ ხილხის მონადირეები სდევნიდნენ. ამიტომაც უპხო ქვეყნის ველურებთან მოუხდათ ბრძოლა. ეს უკანასენელნი მაღლ დამარცხდნენ და უკუ-იქცნენ, რადგანაც ცოტანიც იყვნენ და იარაღიც არ უვარგოდათ. თუმცა ნადირობა ცუდი და ძნელი იყო, მაგრამ ისე დაბრუნდნენ, რომ არაერთ დაუკარგავთ.

თუმცა ბევრ მათგანს გაფხაუნილი და დაბევვილი ჰქონდა კანი და ნახევრად მოტიტვლებული ტანი იჭრელებული ჰედ შემხვიდე სისხლით.

ზოგი კიდევ კოჭლობდა გატეხილ ხის ტოტზე დაბჯენილი ყავარჯინის მაგივრად, ძლიერ მოათრებდა უეხებს.

დედებმა, როდესაც მონადირეები იმდენად მოახლოვდნენ, რომ მათი ხმა ესმოდათ, ბავშვები იყვანეს ხელში და ჩუქმიდ მოიხარნენ პატივის-ცემის ნიშნად ქმრებისა და ძმების წინაშე.

უფროსმა და მონადირეებმა მავიერი სალამი მისცეს. თუმცა ძალის დაღალულები იყვნენ, მაგრამ მათ თვალებში, რომლითაც ბავშვებს მისჩერებოდნენ, გამოიხატებოდა ალერს და ლიმობიერება.

უხუცესში აუწყო ახლად მოსულებს თავისი ვაჭირება;



ოთხი დღე იყო სწორედ, რაც გაჭირვებას განუკუთხოვს ქმითა, მცემებს მცხოვრებნი.

მაშინათვე გადასწყვეტის დაერიცებინათ მშიგრებასთვეს  
და მონალიზებისთვის ახალი ხორცის პატარა ნაკრები და  
უძმდებ წასულიყვნენ მღვიმეში.

დანარჩენი ხორცი მეორე დღისთვის გადასდეს, რომ ლ-  
დარში გამოეცხოთ.

ასეც მოიქცნენ: გაშინათვე დაჟუვები ირმის ერთი ნაწილი, მხოლოდ თანასწორად-კი არა: საუკეთესო ნაკრები მონაცირებმა თვითონ დაიტოვეს, დედებმა და ბავშვებმა-კი მორჩილად იღეს ის ნაკრები, რომელიც მონაცირებმა გადმოუყარეს, და მამა კაცებთან შორი-ახლოს დახსრულებულ გადასახვას მოიხდებოდა.

შემდეგ უხუცესმა ანიშნა და სუსკველამ ერთად შესძრა  
ყბები. სწრაფად ჰგლეჯდნენ და ლექავდნენ სისხლიან საჭ-  
მელს.

ରାଜ୍ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ଉତ୍ସବରେ, ମହାନ୍ ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟବିନ୍ଦୁରେ ଓ ଲିଖିତ୍ୟ-  
ଲାଭ ମିଳିବା, ରାଜଗର୍ଭରୁ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେବାଦା ମିଳି ଫଳବାନବାଦାର ରୂ-  
ପର୍ଦ୍ଵମିଳିବାରେବାଦା, ଏହିମିଳି କ୍ଷୁଣ୍ଣିଲା ମିଳନ୍ତୁଲାଭ, ରାଜମ୍ଭେଲାପୁ ଫର୍ମିବା-  
ଲାଭ ଧ୍ୟା ଅଭିନ୍ଦ୍ରିୟରୁଲାଭ ଓ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରୁ ବାଦାନିର୍ମାଣ ମିଳିବାରେ, ଯେ  
ଚାରମାଲଙ୍ଗରୁରୁ ଉପରେ ବାଦିବାରୁରୁ ମିଳନ୍ତୁଲାଭ ଦାଲାବାର ବାଦା-  
ଗ୍ରହ ପାଇବା, ରାଜମ୍ଭେଲାପୁ ଅଭିନ୍ଦ୍ରିୟ ପରିବର୍ତ୍ତନରୁ କ୍ଷୁଣ୍ଣିଲାଭ ବାଦା-  
ରୀତି ଓ ବାଦାନିର୍ମାଣ ବାଦାନିର୍ମାଣରୁ.

სიხლოვანი მოხუცი სცდილობდა ნელა ეჭამა და ხევ-  
სებით დამტკიცის ამ მშენიერი საქმლით, როგორც ნამ-  
დვილი გემოს მცუდნე; მაგრამ, შეამჩნევდა თუ არა,  
რომ ოღარავინ აღევნებს თვალს, გამოიტენდა პირს და საჭი-  
ნელი ბავშური სიხარბით სჭიმდა.



სახელოვანი მოზური სცდილო-  
ბუა წელა ეჭამა, და საფსებით  
დამტკიცარიკე ამ მშეენიერი სა-  
კმლით. როგორც ნამდვილი  
გემოს მცოდნე.



ლურ ნადიმს დელდა ორი პატარა ბავშვე — უფრო და უფრო კრეიკი, თუმცა ეს უკანასკნელი სხვა ბავშვებზე მეტად უყვარდა.

როდესაც ნადიმს მორჩნენ, მღვიმეში დაბრუნებაზე შეცდგნენ ფიქრს. მონადირეები, მაძლარნი და დალალულნი, ოჯახობით გაუდგნენ გზას. წინდაწინვე სიამოვნებდნენ იმ ნეტით წუთით, როდესაც დასასვენებლიდ დაწვებიან და მავრად დაიძინებენ თბილ ნაცარზე, ან ტყავებზე, თავიანთ ქვის ჭერ ჭვეშ, უზრუნველ-ყოფილნი სანოვაგით, ჩრი-სამი დღის განმავლობაში მაინც.

ახეთი უზრუნველი დღეები იშვიათად შეხვდებოდა ხოლმე ამ უძველეს დროის ხალხს; ეს უმაღლეს ჯილდოს დადიმებულ სიხარულს წარმოადგენდა მათოვის, რაღაც აუკეთ წუთსა და ემს იძულებულნი იყვნენ ეომნათ ხან ცხოველებთან, ხან სხვა-და-სხვა სტიქიონებთან, რომ დაეცვათ თავისი და თავის მახლობელთა სიცოცხლე.

ამგვარ მშეიღობიან, უსაქშო დღეებში, როდესაც კუპი მაძლარი ჰქონდათ, მათი მოქინული სხეული იურეფდა ლონებს, მათი ჭეუ-კი, ბავშვური ჭეუ-კი, იღვიძებდა და ნელ-ნელა იწყობდა მუშობას. ამ დროს ისინი იგონებდნენ თავის თავ-გადასახილს ნაღირობის დროს, ნაღირობისათვის გამოსადეგ ახლო-ახალ ხერხს, აუმჯობესებდნენ იარაღს და თან ხი-ტყვებს თხზავდნენ ტყეში ახლად-ნახულ სხვა-და-სხვა ხაგნის გამოსახატავდა.

ამნაირად მათი დარიბი ენა ახალ-ახალ სიტყვებს პოულობდა.

მათი დასუსტებული თავი ისვენებდა დიღი ჯილდისა და მღელვარებისაგან და დამშეიღებულ, აუჩქარებელ და ბუნ-დოვან ფიქრებს ეძლეოდა. ეს ფიქრები-კი გამოიწვევდა ხოლმე ცხოვრების გასაადვილებელ ახალ ხაშვალებას.

ხანდისხან, რომ არ დაკიტყებოდათ და ბავშვებისთვის აც

გაეცნოთ უცნობი ტემპერატური და უცნაური მცინამრჩქმენები რომელთაც ისინი შორეულ ტყებში ხედავდნენ, — სკლილობრივნენ როგორმე გამოისხვათ საგნები, ტლანქი ნახატის საშეალებით. ხატავდნენ წყეტიან ქვებით სუფთა ძლევბზე, ან ჭირის პრტყელ ნატეხებზე.

ზოგიერთი მათვანი ძალიან კარგად ასრულებდა ამ ფაქტის ხელობას, და ბოლოს და ბოლოს ჩინგბული შატვარი დგებოდა. ეპერ არ არის — ნახატი საგანი ლრმად აღიბეჭდობდა იმათ გონებაში.

საფრანგეთში იპოვეს ნიმუშები პრტყელ ქეის ნაჭრებზე ნახატებისა.

ჩემი ძეირფასო კორქ! ამ წიგნში შენ ნახავ რამოდენიმე ნახატს, რომელიც აღმად უძველეს დროის ბავშვებს და თაო მამებს აგონებდა წარსულ ნადირობას და საზოგადოდ — თაო ყოფა-ცხოვრებას.

ახლა დაუბრუნდეთ ჩვენ მონადირეებს. ვახშის შემდგომ გაემგზავრნენ თავიანთ კლდოვან სადგომისენ. ზანტად მიაბიჯებდნენ, რაღან კუჭი დამბმიშებული ჰქონდათ.

დაღამდა კიდეც; როდესაც სახლში მოიდნენ. მაგრამ, ცოტა არ იყოს, განცეიფრება ეუფლათ, როდესაც კერ დანიხეს წითელი სინათლე; ეს სინათლე ანთებდა ყოველთვის მღვიმეს შესავალს.

ამ მხიარულ სინათლის მოულოდნელმა გაქრობამ უკლას თავ-ზარი დასკა. ხალხი კლდის ძირში შეჩრდა. უბუცესებმა დაიწყეს თაობირი.

„რა მომხდარა ნეტა ჩემს აქ არ ყოფნაში?“ ფიქრობდა უხუცესი და მერე ჩუმად უთხრა თავის თანამგზავრებს:

— დღეს ცეცხლის მფარველად კრეირა. შევატყობინოთ ჩვენი მოსახლეობა.

მაშინ ერთმა მონადირემ აიღო ყელზე და კიდებული ძვლის სასტენელი და დაუსტვინა.

პლიმედან არაუგრი პისუხი არ გაისმა.



— ალბად,— წაიტურნიული მოხუცმა და შისი მკაცრზე და მოხუცმა ლი ათრთოლდა,— ალბად კრეკი და ოურ დაიხოცნენ: პლატიური მოხუცმა ბაგშეებს უთუოდ თავს დაესხნენ ან მოკლეს, ან ტყვედ წილების მოშერნე ველურებმა.

— არა,— უპასუხა ერთმა უხუცესთავანმა,— ეგ შეუძლებელია: ამ არემარებჲე უცხო ქვეყნის მონადირების ჭავანება არ არის; ალბად სძინავთ კრეკსა და ოურს.

— ჰაშ მოვსპოთ ამაზე ლაპარაკი და მღვიმები ავიდეთ,— წარმოსთქვა გაჯავრებულმა უხუცესმა: — თავს წავადგეთ მძინარებს: ამისთანა დაუდევრობა, თუ აქ მართლა დაუდევრობაა, ლირსი საშინელი და დაუყოვნებელი სახელისა.

— სიკედილის, სიკედილის ლირსია! — გისმა მძეინვარე ხმები,— თუ ჩვენდა საუბრებუროდ ცეცხლი ჩაქრი.

აქ მონადირებს წარმოუდგა თვალი-წინ მათი მუდმივი ამხანაგი, მათი ძილის დარაჯი და მეგობარი ჩამჭრალი ცეცხლი. ეს მითოვის საშინელი მოვლენი იყო. ფიქრმა ყველა მო-იცვა და ყველის თუკვნესა გული. რაში ენალვლებოდათ იპორი ბაგშის დაკარგვა: მუშაობა ხომ იმათ არ შეეძლოთ, საჭმელი-კი სჭირდებოდათ.

\* სამაგიეროდ გამჭრალ ცეცხლზე ფიქრი, მანუგებებელ ცეცხლზე, რომელსაც მხიარულიად გამჭრნდა ტკაცა-ტკაცა მათ მღვიმეში, ისებდა მათ გულს საზარელ გრძნობით.

თუ ცეცხლი გაქრა, თვითონაც უნდა დაიხოცნენ. იმათ-ეს კარგად იცოდნენ და გრძნობდნენ კიდევ. შვზაერობის დროსაც-კი უცეცხლობის გამო დიდ გაჭირებას ითხენდნენ. თუ ნამდვილად სამუდამოდ დაკარგეს ცეცხლი, ჩაშინ დაღუპა აუცილებელია.

ამისთანა გაჭირება ჯერ არ დასდეომია არც ამათ წინაპრებს, და არც თვითონ იმათ.

ცეცხლი, ერთგული და ცხოველი ცეცხლი აი რაჭდენა-მე საუკუნეა განილებული იყო მღვიმეში, და არც არავინ იცოდა, თუ ვისგან, ან როგორ იყო აქ შემოტანილი.



სადღა უნდა ეშოვნათ ხელახლა ცეცხლი მტკრაველი  
ზამთარში, როცა მთა-მინდორ-ველი დაფარულია თოვლით  
და გაყინული ტალახით? სად უნდა წასულიყვნენ მუგუზალის  
სათხოვნელად, როდესაც ახლო-მახლო მათი მეზობლები, მი-  
უვალ ალიგას იქა-იქ გაფანტულნი, შესაძლებელია თვითონაც  
უცხობრლოდ იყვნენ. ან კიდევ გადაწყვეტილი ჰქონდეთ არა-  
ვის გაუზიარონ ეს დაუფასებელი განძი, რაյი მათ ჩიუვარ-  
დათ ხელში.

— გასწით! — უბრძანა შიშისა და შეუხარებისგან აქან-  
კალებულმა უხუცესმა,

ჰელისა და რაუგის სიტყვით, კარგა ხანია ხმა და-  
ლიოდა, რომ უშველებელ იფთრების ხროეა, რომელიც  
ცეცხლის შიშით მღვიმეს ახლოს ვერ ეკარებოდა, ყოველ  
ხალამის მღვიმეს წინ დახეტიალობდა; ნაცარში დაგროვილ  
გახრწილ მონაბეჭნების სუნს მოეზიდნა. ამიტომ მონაბი-  
რები ჩუმად და ფრთხილად იღიოდნენ კიბეებზე, ხელში  
შებები მოემარჯვათ, მძეინვარე ცხოველების ვისაგმირივად,  
თუ მათ მღვიმეში მოასწრობდნენ.

შემრწუნებული და დაღონებული დედაკაცები და ბავ-  
შვები კლდის ძირში დაიჩინენ.

მღვიმე ცარიელი იყო: მის კედლებიდან ყინულივით  
ცივმა ნიავმა წამოუბერა.

მონაბირები ხელების ფათურით იკვლევდნენ თავიანთ  
ბინას; მათი იქან კალებული ხელები უიშელოდ სინჯავდა ნა-  
ცარს კერაში.

ნაცარი ცოტათი კიდევ იყო იმ იბილი ხროების შეზულ-  
ში. მიგრამ ჰელი ტყუილად დაემშო ნაცარშე, დაიწყო ბერეა  
სწორედ იმ ალაგას, სადაც ნაცარი უფრო ცხელი ეჩვენე-  
ბოდა: ერთი ნაპერაწყალიც კი ვერ გააჩალა.

ცეცხლი გაქრა, გაქრა სამუდამოდ: ბავშვები-კი და-  
კარგნენ.

მაგრამ ჭელი ტყუჩილად დაუშე-  
ხო თბილ ნაცარზე, დაუწიო  
ბერვა სწორედ იმ ალაგას, ხა-  
დაც ნიკარი უდირო ცხელი ფი-  
ცვნებოდა: ქრისტი ნაპერაწელი უ-  
კი ვერ გააჩაღა,





ასეთი საზირელი მშენები მოუტანა ჰელიშ დედობის მიზანით ბავშვებს და გადასცა ბრძანება მღვიმეში იმოსულიყვნები; ზა-დაც მათ დამწუხრებული, გულ-ჩითუთქული მონადირები ელოდნენ.

როდესაც სუსველანი ერთად შეიკრიბნენ, უზომო მწუ-ხრებით მოცულნი, რომელიც სიცივისა და სიბნელის გამო გაირკეცდა, თავი ველარ შეიკავეს და მოპყენენ ხმა-მაღლა ტირილს და ქვითინს; დაწენენ, თითქმის დაეყარნენ დედა-მიწაზე, ისე, სადაც ვინ იდგა, თითქოს სამუდამოდ მოწყვე-ტილნი, დედამიწიდან განდევნილნი.

როდესაც კოტა დაშოშმინდნენ ეს საცოდავები, რო-მელნიც თითქოს ბუნებასაც ებრალებოდა, სათითოდ, დიდმა და პატარამ, დაიძინეს ლრმა ძილით და უცბად გადაავიწყდათ თავისი საშინელი მდგომარეობა.


ხოლო უხუცესს, დიდ-ურა რიუგს და ჰელის-მეთევზეს არ ეძინათ ამ წყვდიადში.

ამ თარ უკანასკნელს მინდობილი ჰქონდათ მღვიმეს კა-რებთან გათენებამდის დარაჯობა.

რაც შეეხბა უხუცესს, ის ტყუილად სცილიობდა მო-კუნებინა რამე წარსულ ცხოვრებიდან, რაც-კი რამ გაეცონა ბავშვებაში მამებისაგან და პაპებისაგან იღუმალ ცხოვრებისა და ცეცხლის შთამომავლობაზე: გაღმოცემით — ზოგიერთს, როგორც დღესაც სწამთ ველურებს, შეუძლია ხელ-ახლა ცეცხლის გაჩენა, თუ ეინიცობაა იგი ნიაღვარმა წალეყა ან სიცივეშ ჩააქრო.

8. იაშვილი.

(შემდეგი იქნება).





## ტყარო და პატარა.



ირბის კუსკესით  
წყილო ან ჯარა,  
მას თავს დასცემრის  
ცელქი პატარა.

— წყილო! მითხორი  
რამ გაეხარა,  
ან კინ რა გიოხრა.  
კინ რა გხხარა!

— მე ტყვეთა ვიყავ,  
ჩემთ პაწია,  
და გაზაფხულმა  
რა მოაწია,

და რა გაითბო  
მზემ მთა და ბარი,  
გათბა ყოველი,  
გაქრა ზამთარი;

მყისვე მეც ვიგრძენ  
სითბოს ნექტარი,

ჩემთვისაც დადგა  
წამი ნეტარი:

დაიმსხვრა ყინვა,  
ბორჯილია ხუნდი,  
ვავთბი, ვავკოცხლდი,  
ამოცხუხჩუხდი.

მთა-ბარს მოვედე:  
მას იქნა ვძლერი,  
ვნეტარობ, ვლაინობ;  
ალარ მყის მტერი!

თავისუფლება  
ერთად ერთია,  
სიკოცხლის წყარო  
და თვით ლმერთია!

ჩემი პაშიავ,  
რა გაიზრდები,  
მით ჩემ სიმღერას  
უფრო მიხედები...

სიმ. მუხისძირელი.

მომისახუა  
ბისალირითია





## სტეფანეს შვილი.



რანდეი წყლის პირის დიდ სიკ ქვაზე იდგა, მარჯვენა ხელში შოლტი და სალაშური ეჭირა, მარცხენა ხელი შუბლზე მიეჩრდოლებინა და გამყუჩებდა კარპატის მთებს, რომლის თავებზე პაერში ექვსი შევი წერტილი მოსჩანდა. ერთი წერტილი დაბლა დაეშვა; ხუთი უნძრევლად იყო პაერში.

— ამ, რა კარგი იქნება არწივად ვიქცეოდე, და თქმი შევერვალებს თივს დავსტრიიალებდე! — და ყმაწვეოლმა შოლტი გაატყლაშუნა. შემდეგ ქვიდან გადმოხტა, დაჯდა და სალაშური ჩაიდო პირში.

შესუების უბრალო ლელის ხალიაშერი ჰქონდა; იმისი ფა-

სი ცალი გროვი არ იყო, მაგრამ ფრანგები ისე უძლეს და უძლეს კედა იმ უბრალი ლერწაში, რომ მეფის სასახლის დახელოვნებული შემუსიკე შენატრანდა მის ხელოვნებას.

მწყემსის სალამურის შეიარულ ხმაზე ბუნება მეჯლისობდა, კრილი ნაზი ნიავი შემოუტბენდა მწვანით დაფუნილ მინდობის და ათასნაირ სუნნელოვან ყვავილებს ათასაშებდა. როცა სალამურს კვერცხა ამოსცდებოდა, ცას ღრუბლები გადაეფარებოდა; გვირილა ბალისი ნალელიანად მოჰყვებოდა თავის თეთრ პიპილების ქნევის და რილაც გაურკვეველ დუღუნს. საქონელი ძოვნის თავს გაანებებდა და თვა-აღებული შექურებდა ფრანგების თავისი კეთილი თვალებით. მწყემსი დარწმუნებელი იყო, რომ, როცა ის სალამურის უკრავდა, მისი ნიხირი არ დაიფანტებოდა, და ამიტომ უდირდელად, თვა-დავიწყებით, ზღაპრული ორფეისაერთ ათასაშებდა თითებს სალამურზე. ნიხირი სალამურის მორთოლარე ხმას უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე მწყემსის შოლტაა. დღესაც ასე აკვერცხა ურანებება თავისი სალამური და ამოძრავა პუნება.

ბოლოს მოსწყინდა სალამური, და შიმშილიც იგრძნო. გულიდან გამხმარი პური ამოილო და წყლის პირს ჩავიდა. გამხმარ პურს წყალში ასველებდა და მაღიანად ილუქმებოდა, თან დაწმენდილ მორებს ჩისკეროდა და ხედავდა, როგორ დასრიალებდნენ მორეები ქიკინები. მწყემსი თვეზებს პურის მარცვლებს უკრიდა და ამით მეტ მოძრაობის იწვევდა მორეები.

სამხარს შემდევ მწყემსი ჩრდილოში, მწვანე ბალაზე წამწვა და თვალები ლურჯ ცას მიავირო. გაახსენდა იმ დიდი ქალაქების სახელები, რომლებიც შოლომდ გაევონა, და თვალით-კი არ ენახა. მოუნდა როგორმე წარმოელგინა ეს ქალაქები, და პატარა მწყემსმა გონება აათაბაშა. როგორი ხალხი უნდა ცხოვრობდეს დიდ-ქალაქებში? შეეკითხა



ბავშვი თავის თავს და ამ კითხვაზე გაასცენდა მარტინი მარტინი  
ბატონები, რომელიც ზამთრობით ქალაქში ცხოვრობდნენ,  
ხოლო ზაფხულობით სოფლად მოდიოდნენ. ეს ბატონები  
მედიდური, მმპარტავანი და მიუკარებელი იდამიანები იყვნენ;  
და ფრანგებმა გადასწყვიტა, რომ ქალაქებში სულ ასეთი  
მცხოვრებლები იქნებოთ. ბავშვი ცდილობდა წარმოდგინა  
ქალაქის შენობები, ქუჩები, ეტლები, ეკლესიები და იქამდის  
აწვევლა თავისი გონება,—მანამ ყველაფერი თავში დოშალი-  
ვით არ აერია და არ ჩემინა. ვრიღი ნიავი ელამურებოდა  
მძინარე მწყემსის სახეს; ყვავილები და ბალანები ცდილობდ-  
ნენ ხელი არ შეეშალათ იმის ძილისათვის.

— ფრანგე, აი ფრანგე!

გაისმა მოხუცი მენახირის ხმა, რომელიც ნახირს ვერ  
იმორჩილებდა მარტოკა.

— დროა ნახირი აეშალოთ და სოფლისაკენ გავაყო-  
ლოთ,—უთხრა მან ფრანგეს, როცა პატარა მწყემსი მოხუცე-  
ბულის მახილზე თვალების ფშვნეტით და მხრების ჩეჩით  
გამოვიდა გრიღოლოდან.

ნახირი ზანტად მიიზღაუნებოდა სოფლისაკენ. შარა გზას  
საშინელი მტვერი იყიდულა და მზე დაბნელდა. ნახირს უკან  
მისდევედნენ მოხუცი და პატარა ფრანგე, რომელიც გზა-გზა  
სალამურს უკრავდა.

ასე ატარებდა ფრანგე ზაფხულს; ასე გაატარა წელ-  
საც. მოეიდა შემოდგომა, აცივდა და სოფლელებმა საქონელი  
ბოსელში დააბეს. შემოტრიალდა წელიწადი და დადგა ისევ  
ზაფხული. მოეიდა ვადა მწყემსის მინდორში ცხოვრებისა.

ფრანგეის დაბადების დღე იყო. ღარიბი ხალხი დაბადე-  
ბის დღეს არა დღესასწაულობს. უკეველია იმიტომ, რომ არა-  
ფერს სასიამოვნოს არა პჰოვებს იმ დღის მოგონებაში, რო-  
დესაც მის თჯახს მეტი მჭიდრელი მოემარა. ფრანგე მესამე  
შეიღო იყო თავისი დედ-მამისა, მაგრავ მას თრი უფროსი



ძალა მოუკედა და ახლა ის იყო ოჯახში უფროსი ვაჟი და მამა მას კიდევ მომდევნოები ჰყავდა — ოთხი და-მანი. ბავ შეები, როცა პური მაშივედებოდათ, გააბამდნენ ხოლმე ხმა-მაღლა ტი-რილს და ყოველ დღეს ერთი საშინელი ლმული იდგა იმათ სახლში. ფრანეეის დედამ უებარი წამალი იცოდა ბავშეების ვასაჩუმებლად: წკეპლით აუქრელებდა მტირალა ბავშეებს ზურგს და ხმას გააქმენდინებდა.

დაბამდა ფრანეეის დაბადების დღეს და შეუმჩნევლად ვაიარა მისთვის. მან არც-ერთ იცოდა, თუ მისი დაბადების დღე იყო. უკვე საწილი მოიმზადა სათივეზე; როცა შემოესმა თავისი პატარა დის ხმა.

— ფრანეე, მამა გეხახის!

— აბა, დედა კაცო, — დაიწყო ფრანეეის მამამ, როცა შეი-ლი მიუხალოვდა. ბავშეი მოწინებით შეცყურებდა მამას და ელოდა — რას უბრძანებდა. მოშორებით იდგა დედა მოწყენი-ლი სახითა; თავ-შეკავება ეტყობოდა, თუმცა თვალები-ერ ცრუმლებით ჰქონდა საეს. ფრანეეი გააკეირდა ამ სურათზა.

— რამდენი წლისა შესრულდა დღეს ჩვენი უფროსი შეილი.

— თხუთმეტისა, — უპასუხა დედამ და სლოვინი დაიწყო. მაგრამ მოხუცმა თვალები გადაუტრიალა და გააჩუმა. — ჲო, დღეს თხუთმეტი წლისა შესრულდა.

მოხუცმა ახლა შეილს შეხედა და უთხრა:  
გესმის?

— დიახ, მამილო!

— მერე ისიც იცი, რას ნიშნავს ქს, რომ თხუთმეტი წლისა შესრულდი?

ფრანეემა ტანის დასაყრდნობად ფეხი შეიცვალა, თან მიავლ-მიავლო თვალი აქეთ-იქით. ეტყობოდა, რომ მამის სი-ტყვებს აზრი ვერ გაუგო.

— რა უპასუხო? თხუთმეტი წლისა შევსრულდი. რა



ვიცი, რას ნიშნავს: „— ელვასავით გაუტბინა თავში ჰყევებსაკომანა  
— არ ვიცი! — უპასუხა ბაეშემა მაშას.

— გაშ მე ვეტყვი!

მაშა წამოდგა და ნელის ნაბიჯით ოთახში სიარული და-  
იწყო. კოჭლობით დატოიდა ეს ვეებერთელია, შავად გამუ-  
რული კაცი და ამ წუთში კარპატის მოქბის დათეს წააგავდა.  
მიჯდა ერთ კუთხეში, საღაც რაღაც კონკები ეყარა. ტილოს  
აბგა გამოიაჩინა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა მავიღასთან.  
ფრანგები ვაშტერებული იყურებოდა აქეთ-იქით და არ ესმო-  
და-რა ხდებოდა მის გარშემო; გულმა ჩქროლა დაუწყო.

— ი, — დაიწყო მოხუცმა და აბგა დაანახეა: — ხედავ ამას?

ფრანგები მიაჩერდა მაშის დიდორონ ხელს, მის დაბერილ  
ძარლებს, დამტკრეულ, ჩაშვებულ ფრჩილებს.

— ვხედავ, მაში!

— აბა, რასა ჰხედავ!

ფრანგება უცებ ვერ მოახერხა პასუხი, გულში რაღამაც  
უკბინა, როცა თვალები მაღლა ასწიო და დაინახა მაშის მკა-  
ცრი სხეგ.

— ვხედავ... რომ საზრდო შემოგვლევია... ლუშეკოვა-  
ნებიც დატოიდნენ შარშან აბგით აქეთ-იქით...

— რაო?!. ვანა მაშიშენი მათხოვერადა ვგზავნის?! — და-  
ლრიალა მოხუცმა, წამოვარდა ფეხზე და მძლავრად დატკრი-  
შეშტრი მავიღას. აბა ერთი კიდევ გავიბეჭნია მაგის თქმა?!..

ფრანგება თავი ძორს დალუნა.

— მაპატიეთ, მაშილო!

— ჰა, შე საძაგელო, შენა! — ლელავდა მოხუცი და ძარ-  
ლევი უფრო ებერებოდა ხელებსა და კისერზე, — გესმით,  
რას აშბობს?! გაიგონეთ?!

— დაეხსენ, ნუ აწვალებ, — მოკრძალებით უთხრა ცოლ-  
მა და თვალებში მორეული ურემლები სახელოთი მოიწმინ-  
და: — დაეხსენ, ხომ იცი, რომ ერთი მოსწრებული ბალლი  
გდია სახლში!



— გეუოფა წუწუნი! — გააწყვერინა მოხუცმა ლაპარაკებული ცოლის. შემდეგ მიუბრუნდა შეილისა და მტკიცე ხმით უთხრა:

— ხვალ ადრე ადგები, თიღებ შენ ბარგს, გახვალ სოფელს გარედ, ახეალ იმ გორაზე, რომლიდანაც კარპატის მთები მოსჩანს. გორიდან დაინახავ დიდ-შარა გზის და ტელეგრამის ბოძებს. ამ იმ გზით მოგიხდება სიარული.

ფრანელს სიტყვა უშრებოდა პირში, მავრიმ მაინცა ჰერთხა შემას.

— სად უნდა წავიდე იმ გზით, მამილო?

მოხუცმა გულზმა ისე მძლიერად დაპერა მავიდას გაშლილი ხელი, რომ ფრიცხებმა ჭაბუქი დაიწყეს.

— ის გზა ქალაქში მიგიყვანს. იქ-კი შენ თითონ დაინახავ, რა გააეკთო. ახლა წალი და დაიძინე. ხვალ გზაში დაგრიამდება და შენ კერ-ქერ ველარ დაიძინებ.

ფრანელ მოკრალიერით მიაფრატუნებდა ფეხებს, ძლიერ მიიღწია სათიკემდე და თივაში ჩაწვა. ქარი პქროდა და ხმელი ბალახი ფრანელს სახეში სცემდა. ქარის ზუზუნი ბავშვს მამის შრისხანე ხმად და დედის ქვითინაც შემოესმოდა.

ჯერ ხეირიანად არ იყო გათენებული, — ჯერ კიდევ მზის სხივებს ძალა არ ჰქონდათ, დილის ნამი ისევ ბალახებზე კიბუძებდა, როცა ფრანელი, წასასვლელად ვამზადებული, მამასთან მიიღდა, რომ მისგან უკანასკნელი ლოცვა მიეღო.

მოხუც გულშს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. ცხოვრების მძიმე ულელს თავისი დალი დაესვა და ხმა ჩაეკენდინებინა. გულშს ოჯახში ლაპარაკი არ უყვარდა; მუდმივ დალერებილი დადგიოდა. ის ახლაც ჩვეულებისამებრ მავიდასთან იჯდა იდაყვებზე დამჯენილი და ფრანელს შემუშრებდა.

— შეილო, სამუშაოდ მიდოხარ, შენთვის თახსაუკუთხივ გზა ხსნილია. რა ხელობაცა გსურდეს — ამოირჩიდ. მხოლოდ ერთი გახსოვდეს ყოველთვის: ის, რომ შენ პატიოსანი გლეხის შეილი ხარ. ვესმის, თუ არა?



— დიახ, მამილო!

მოხუცი წამოდგა და შეიღს მხარზე ოდნავ ხელი დაადი:

— ახლა-კა წალი! მე შენ ყველაფერი გითხარი, რაც  
შემეტლო. დედა-შენმა გუშინვე ჩაგილავა აბგაში ყველი და  
ჰური.

ფრანგები მოიგდო ზურგზე აბგა, რომელიც მას დედა  
გადასცა და წარმოსოჭვა:

— მშეიდობით, მამილო! — და მამას ხელზე აკოცა.

— მშეიდობით, დედოლო!

დედამ შვილი გულში ჩაიქრა და ქვითინი დაიწყო.

— ნულარ აგვიანებ, დედაკაცო, — უთხრა მოხუცმა ცოლს  
წირბების შეკვერით. გუნებაში-კი ნასიძოვნები იყო, რომ  
იმისმა შვილმა გამოთხოვების ეამს ხასიათის სიმტკიცე გამოი-  
ჩინა, — გაუშეი, წევიდეს: დღეს კურევაში უნდა ჩაიგდეს.

დერეფანში ფრანგებს მარიჯა და დანარჩენი და-ძმები  
ელოდნენ. მარიჯის ნამტირალევი თვალები ჰქონდა, ახლა-კი  
მამის შიშით ტირილს ველარა ჰპედავდა. უჩუმრად გადაეცვა  
ძმას და ჩასწურჩულა:

— მამამ ნება არ მოგვცა გაგვეცილებინე. მშეიდობით,  
ჩემთ ძეირფასო ფრანგე! — და გოგოს თვალები ცრემლებით  
ავვსო.

— მშეიდობით, მარიჯო! მშეიდობით ინკ, შენკ...

ბავშვმა დაქუცნა ყველი და-ძმები და სწრაფად ჩაირჩი-  
ნა კიბეზე. ჰგრძნობდა, რომ მასაც ცრემლები ერეოდა.

ის უკვი ალაყაფის კარებში გადიოდა, როცა შემოიქმნა  
ძმის ხმა:

— ფრანგე, მობრუნდი — საქმე მაქვს!

მოხუცი კიბეზე იდგა და ხელში ფრანგების ძეველი წალა  
ეჭირა. ფრანგებს თხუთმეტ წლამდე მხოლოდ ერთი წყვილი  
წალა ჰქონდა გაცვეთილი სახლში. მხოლოდ დღესასწაულებ-  
ში იცვამდა ხოლმე. მაგრამ ახლა ვერ მიმხედარიყო, რათ ეჭი-

რა მამას ერთი წალა და არა ორთხვე: თუ პსურდა შესრულებული  
ხაოვის წალა გაეტანებინა?

მამაშ მიაწოდა შვილის წალა და იმანაც ხმა-იმოულებლივ  
ჩამოართვა. მოხუცს ტუჩებზე ლიმი მოერთა, როცა დაინახა  
შვილის გაოცებული თვალები.

— იცი, რათ გატან მხოლოდ ერთ წალას?

— არა!


— მაშ მე გეტუვი. როცა შეიძლო, მეორეც იყიდე. რო-  
ცა ამას შესძლებ, სახლში დაბრუნების ნება გექნება. არ და-  
იყიწყო, რომ სახლში ჩემი სიკვდილის შემდეგ შენა ხარ უფ-  
როსი. ახლა-კი წადი.

ერთი წუთის შემდეგ ფრანეჟი მიაბიჯებდა შარა-გზაზე.  
კოველ ნაბიჯის გადადგმაზე ის შორიდებოდა მშობლიურ კე-  
რის. სახლის კარებზე იდგა იმის დედა და მიმდევ შვილს ფე-  
სტანლის უქნევდა. მამა კიბიდან გაპყურებდა.

მხოლოდ ორჯელ მოიხედა ფრანეჟმა უკან. ერთი, რო-  
ცა სოფლის ბოლოში გავიდა და შარა გზისაკენ მიუხვიდა:  
მოიხადა თავიდან ნაბდის ჭუდი და მაყურებლებს გამოთხო-  
ვების ნიშნად დაუქნია; მეორეც იქ, სადაც შარა გზის პირი  
სამი მუხი იდგა ერთ კორდზე, ახლო-ახლო ტოტებით ერთ-  
ზანერზე გადახვეულები. ექ ფრანეჟი შექერდა, პირჯვარი და  
იწერა და მუხლი მოყარა. მერე წამოდგა და დაქანდა თავ-  
კვე შარა გზაზე.

მეორე დღეს მზის ამოსვლისას ჩვენი შვზავრი უკვე შარა-  
ზე მიაბიჯებდა თავის სახლიდან შორს. მინდორზე ქარი ჰქრო  
და და ტელეგრაფის მაგისტრებს აზუზუნებდა. აღმაღ ქაზ-  
